საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 443

24 07 2017წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს სპეციალისტის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსის, ნანა ქუჩულორიას, 2017 წლის 21 ივლისის №858322 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2017 წლის 24 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს სპეციალისტის შერჩევის მიზნით.

2. ადამიანური რესურსების სამმართველოს სპეციალისტის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჯარო ადმინისტრირების ან ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით;

2.2. სამუშაო გამოცდილება - არანაკლებ 3 წელი; უპირატესობა მიენიჭება ტრენერად მუშაობისა და პროექტების მართვის გამოცდილების მქონე და საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილების მქონე პირს;

2.3. თანამდებობრივი სარგო - 1320 ლარი;

2.4. ადამიანური რესურსების სამმართველოს სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) თანამშრომელთა დანიშვნის, გათავისუფლების, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებისა და სამმართველოს კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა საკადრო შინაარსის ბრძანებათა პროექტების მომზადება;

ბ) ცენტრის ექსპერტთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება;

გ) შრომითი ხელშეკრულების რეგისტრაცია და ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოსთვის მიწოდების უზრუნველყოფა;

დ) სამუშაო აღწერისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის მომზადების პროცესში მონაწილეობა;

ე) ცენტრის თანამშრომელთა პირადი საქმის ფორმირება;

ვ) ვაკანტურ თანამდებობაზე ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსების ორგანიზებაში, კონკურსის ეტაპებთან დაკავშირებული პროცესების განხორციელებაში მონაწილეობა და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმების წარმოება;

ზ) თანამშრომელთა ტრენინგ-საჭიროებების შესწავლა. ტრენინგების დაგეგმვა, ორგანიზება და ჩატარება კომპეტენციის შესაბამისად;

თ) უცხოური ადამიანური რესურსების მართვის ტრენდების შესახებ ინფორმაციის მოძიება, თარგმნა და საჭიროებისამებრ, დანერგვა ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით;

ი) თანამშრომელთა შეფასებისა და წახალისების პროცესში აქტიური მონაწილეობა, შესაბამისი ფორმების/კრიტერიუმების შექმნა საჭიროების მიხედვით;

კ) კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბებასა და ,,თიმბილდინგში" აქტიური მონაწილეობა;

ლ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

2.5. კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Office Power Point, Outlook) კარგად ცოდნა;

2.6. ქართულ ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარები;

2.7. უცხო ენის კარგად ცოდნა (ინგლისური, რუსული);

2.8. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

ა) სტრესულ გარემოში მუშაობის (მრავალი და მრავალფეროვანი საკითხების შეზღუდულ ვადებში შესრულების) უნარი;

ბ) სწრაფი რეაგირების და გადაწყვეტილების მიღების უნარი;

გ) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;

დ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების უნარი;

ე) ანალიტიკური აზროვნების უნარი;

ვ) დეტალების მიმართ დაკვირვებულობის უნარი;

ზ) ორგანიზებულობა;

თ) გუნდური მუშაობის უნარი.

2.9. კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი";

ბ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ";

გ)„საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი";

დ) საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულება".

2.10. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

3. კომისია ვალდებულია, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

4. კონკურსში მონაწილე პირმა ელექტრონული ფოსტის მისამართზე: hr-jobs@eqe.ge - აუცილებლად უნდა წარმოადგინონ:

ა) ავტობიოგრაფია (CV) ქართულ ენაზე, სადაც აღნიშნული იქნება კანდიდატის სამუშაო გამოცდილება;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის სახელი,გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია.

5. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.jobs.ge მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

6. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე